№2728 2015 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 12 ნოემბერს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, მცხეთის მუნიციპალიტეტს მიეცეს უფლება, „მცხეთის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის №946 განკარგულების საფუძველზე – 21 000 (ოცდაერთი ათასი) ლარის, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 განკარგულების საფუძველზე – 3 230 (სამი ათას ორას ოცდაათი) ლარის, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს №1404 განკარგულების საფუძველზე 10 080 (ათი ათას ოთხმოცი) ლარის, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულების საფუძველზე – 27 329 (ოცდაშვიდი ათას სამას ოცდაცხრა) ლარის, „სტიქიის

შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №1981 განკარგულების საფუძველზე – 10 311 (ათი ათას სამას თერთმეტი) ლარის, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 სექტემბრის №2046 განკარგულების საფუძველზე – 8 951 (რვა ათას ცხრაას ორმოცდათერთმეტი) ლარის ეკონომიების, ჯამში – 80 901 (ოთხმოცი ათას ცხრაას ერთი) ლარის, ფარგლებში, განახორციელოს აღნიშნული სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**